საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 9 ივლისი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 134

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლს დაემატოს 20^3-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

20^3. სტუდენტი ინგლისური ენის სასწავლო კურსის სემესტრულ გამოცდაში ჩაჭრის შემთხვევაში ვერ გადავა აღნიშნული სასწავლო კურსის შემდეგ ეტაპზე და განმეორებით აითვისებს დავალიანებულ კრედიტს, უნივერსიტეტში მოქმედი წესის მიხედვით.

2. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-7 მუხლს დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1^1. მუსიკის ფაკულტეტზე საშემსრულებლო მიმართულებით ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდები. გამოცდების რაოდენობას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი დეპარტამენტთან შეთანხმებით და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

3. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-8 მუხლს დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1^1. მუსიკის ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შედგება ორი ნაწილისაგან საშემსრულებლო და თეორიული მიმართულებით:

საშემსრულებლო მიმართულებით საკვალიფიკაციო გამოცდა/გამოცდები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

პროგრამის თეორიულ ნაწილში სრულდება სამაგისტრო ნაშრომი.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**